საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაკაბაძე გულიკო ივანეს ასული

Image not found or type unknown



გ. კაკაბაძე

კაკაბაძე გულსუნდა (გულიკო) ივანეს ასული (29. VIII. 1946, თბილისი, – 7. XII. 2022, იქვე), თეატრმცოდნე, ჟურნალისტი, საქართვ. დამს. ჟურნალისტი (2015). 1971 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის თეატრმცოდნეობის ფაკ-ტი. 1974-იდან მუშაობა დაიწყო საქართვ. სახელმწ. რადიოს ახალგაზრდული პროგრამების რედაქციაში შტატგარეშე კორესპონდენტად; 1976-82 იყო ახალგაზრდული პროგრამების მთ. რედ. რედაქტორი; 1982-92 წწ. – სატირულ-იუმორისტული პროგრამების ჯგუფის რედაქტორი; 1992-2000 წწ. – ლიტერატ.-დრამ. პროგრამების მთ. რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი; 2000-05 – ლიტერატ.-დრამ. პროგრამების მთ. რედაქციის დრამ. პროგრამების ჯგუფის რედაქტორი; 2005-იდან გარდაცვალებამდე – დრამ. პროგრამების რედაქტორი, ავტორი და წამყვანი.

კ. იყო საქართვ. ჟურნალისტთა და თეატრის მოღვაწეთა კავშირების წევრი.

დაჯილდოებულია საქართვ. პრეზიდენტის ღირსების მედლითა (1998) და თეატრ. საზ-ბის პრეზიდიუმის პრემიით „თეატრის ამაგდარი“ (2014).